ფასი თოვლის ბრისი ფონდი

287 1 176

287 1 176

დასკანირებულია
16.01.2025 (13)

წიგნის თარო

„ლიტერატურული საქართველო" 1982 წლის 5 მარტი

ძვირფასი საჩუქარი სიტყვიერების მასწავლებლებს

შემოქმედმა მასწავლებელმა მოსწავლეები უთუოდ სახელმძღვანელოს იქითაც უნდა გაახედოს, გონებრივი თვალსაწიერი გაუფართოვოს, შემეცნებითი ძალები გაუაქტიუროს. ეს განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეხება, რომელიც ვალდებულია სისტემატურად ზრუნავდეს ახალგაზრდების ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დახვეწაზე, მათი ლიტერატურული განათლების დონის ამაღლებაზე.

მასწავლებლის გზამკვლევი და თანამდგომი ამ შემთხვევაში მეთოდიკური, სამეცნიერო და კრიტიკული ლიტერატურაა, რითაც არცთუ ისე განებივრებულნი არიან ისინი.

ამ ფონზე ჩვენი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის სახისხარული მოვლენად აღიქმება ცნობილი მეთოდისტის, კრიტიკოსისა და მეცნიერის პროფესორ ა. თოფურიას ლეო ჭიაჩელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიის გამოცემა სახელწოდებით „ლეო ჭიაჩელი".

წიგნი, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ" გამოუშვა, ეძღვნება გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის ლეო ჭიაჩელის დაბადების მე-100 წლისთავს. ეს კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნაშრომი მეორედ გამოვიდა.

ჯერ კიდევ პირველ გამოცემას წილად ხვდა მკითხველთა დიდი სიყვარული და აღიარება. იგი მაშინვე გახდა პედაგოგ-ლიტერატორებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნი.

მეორე, ხაიუბილეო გამოცემაში, რომელიც უფრო შევსებული და სრულყოფილია, ავტორი რუდუნებით, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სიყვარულით აანალიზებს, ნათელს ფენს დიდი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარეს.

ნათქვამია, მწერლის შემოქმედება უპირატესად მისი ბიოგრაფიის ანარეკლიაო. მართლაც, მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ლეო ჭიაჩელის ცხოვრება მჭიდრო, ორგანულ კავშირშია მის შემოქმედებასთან.

ა. თოფურია მკვლევარის უტყუარი ალღოთი განიხილავს მწერლის ცხოვრების მიმართებას მის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. სკრუპულოზურად წარმოაჩენს ბევრ, აქამდე მკითხველისათვის უცნობ დეტალებს, ღრმად გვახედებს მწერლის იდეურ-მხატვრულ სამყაროში, აკეთებს ზუსტ დასკვნებს და სწორ შეფასებას აძლევს ლეო ჭიაჩელის როლსა და მნიშვნელობას ქართული საბჭოთა პროზის განვითარებაში.

ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოგრაფიის შესწავლას მწერლის შემოქმედების გააზრებულად ათვისებისათვის. ამ მხრივ ეს წიგნი სარგებლობის მომტანია და დიდად გამოადგება მასწავლებლებს ლეო ჭიაჩელის შემოქმედების სწავლების პროცესში.

წიგნი თავიდან ბოლომდე ინტერესით იკითხება. მოსწავლეებისათვის დიდი სასწავლო და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს იმ მონაკვეთს, რომელიც მწერლის ბავშვობას ეხება.

სწორად არის განმარტებული მწერლის ფსევდონიმი, რომელიც დიდხანს გაუგებარი რჩებოდა მასწავლებლისათვის. საარქივო წყაროებზე დაყრდნობით ავტორი ნათელს ფენს და ვრცლად წარმოგვიდგენს მწერლის რევოლუციური გატაცების, ჭუთაისის ციხიდან გაქცევის ეპიზოდებს, გვიჩვენებს მწერლის შემოქმედებითი დაოსტატების გზას. სწორად არის გაკეთებული დასკვნა, რომ ლეო ჭიაჩელი თავისი რეალისტური ნაწარმოებებით XX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი მივიდა საბჭოთა სინამდვილესთან.

მართალია, წიგნი მწერლის შესახებ კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევია, მაგრამ არც სკოლასა და მასწავლებლებს ივიწყებს ავტორი — მწერლის შემოქმედების სწავლებასთან დაკავშირებით მეთოდიკურ რჩევა-დარიგებასა და რეკომენდაციებს გვთავაზობს. მაგალითად, წიგნს დართული აქვს თავი — ლექცია-გაკვეთილი ლეო ჭიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო და „გვადი ბიგვას" ანალიზის დასკვნითი ეტაპი. ასევე, წარმოდგენილია შეხვალი ლექციის ხაორიენტაციო გეგმა თემაზე „ლეო ჭიაჩელის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა".

სწორედ ამ თვისებების გამო არის ეს წიგნი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის ძვირფასი ნობათი.

ნ. ბოკერია.

…ლ კლასს, მხოლოდ პრომლა
…ვენებს მას თავის ძალთა სა-
…ომს, აფართოებს მის ჰორი-
…ონტს, ამაღლებს მის უნარიანო-
…ს, ანათლებს მის გონებასა და
…დს მის ნებისყოფას“ (ვ. ი. ლე-
…ნი. თხზ. ტ. 23, 1951,
. 317).

„ტარიელ გოლუას“ ეპილოგში
…ახულია 1905 წლის რევოლუ-
…ის ის პერიოდი, როცა მტრე-
…ს მოსასპობად დარაზმული მუ-
…თა კლასი ცდილობს, რომ
…რომელ გლეხებთან დაამყაროს
…კიცე სოლიდარული კავშირი,
…თა ურთიერთმხარდაჭერით დაა-
…ონ თვითმპყრობელური წყობი-
…ბა. ლ. ჭიაჭელის „ტარიელ გო-
…ას“ ეპილოგში რეალისტურა-
… ასახული 1905 წლის რევო-
…ციის ის განსაკუთრებული მო-
…ვეთი, როცა „გლეხები ჯგუფ-
…ფად იკრიბებოდნენ, იხილავ-
…ნ თავიანთ მდგომარეობას და
…დათანობით ებმებოდნენ ბრძო-
…ი... 1905 წლის ოქტომბერი
… დეკემბერი მოასწავებენ რუ-
…ის რევოლუციის აღმავალი ხა-
… უმაღლეს წერტილს. ხალხის
…ოლუციური ძალების ყველა
…რო აჩქეფდა ბევრად უფრო
…თად, ვიდრე წინათ“ (ვ. ი.
…ნინი. თხზ. ტ. 23, 1951, გვ.
).

…აშინ, როცა ვასწავლით ნაწარ-
…ების იმ გვერდებს, რომლებ-
…ც აღწერილია სოფლად ეგზე-
…ციის ბარბაროსობა, კლასში
…იკითხავთ ვ. ი. ლენინის ნაშ-
…მის იმ ადგილებს, რომლებიც
…წერილია კონკრეტული ისტორი-
…ი ფაქტების საფუძვლიანად
…სწავლის მეთხებით: „რაც უფ-
…ი ზვირთდებოდა მოძრაობის
…ლღები, მით უფრო მეტი ენე-
…ითა და სიმტკიცით იარაღდე-
…და რეაქცია რევოლუციის წინა-
…ძდეგ საბრძოლველად“ (ვ. ი
…ნინი. თხზ. ტ. 23, 1951, გვ
…).

…აწარმოების ნიშანდობლივი ეპ-
…დებისა და ვ. ი. ლენინის ნაშ-
…ების სათანადო მონაკვეთების
…იერთშედარებით განხილვას
დი.

გაკვეთილზე ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ლ. ჭიაჭელი 1902-1903 წლებში გატაცებით კითხულობდა მ. გორკის ნაწარმოებებს, რომელთა შესახებ იგი შთამაგონებლად წერს: „ახალი მხატვრული სახეები და რევოლუციური იდეები, რომლებიც მაქსიმ გორკის შეჰქონდა ლიტერატურაში, ზედმიწევნით ეხმაურებოდა ჩვენს სულიერ განწყობილებას და მის გამაღრმავებელ ფაქტორს წარმოადგენდა“. ლ. ჭიაჭელი განსაკუთრებული აღფრთოვანებით წერს მ. გორკის „გრიგალას სიმღერაზე“, რომელიც 1905 წელს ქართულადაც დაიბეჭდა: „...ამ ნაწარმოების მასობრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა დიდმა ლენინმა იმით დაადასტურა, რომ რევოლუციისადმი მიძღვნილი თავისი ერთ-ერთი წერილი მაქსიმ გორკის პოეტური მოწოდების სახეებსა და სიტყვებზე ააგო და გორკისებურადვე დაასრულა: „დეე, უფრო მრისხანედ დასჭექოს ქარიშხალმა!“ (ლეო ჭიაჭელი. თხზ. ტ V, 1964, გვ. 65).

სხვადასხვა წყაროს ურთიერთმიმართებით განხილვის საფუძველზე მოსწავლეები გააკეთებენ დასკვნას.

მათ შევახსენებთ დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლირიკულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც 1905 წლის რევოლუციისადმია მიძღვნილი, რათა სწორი დასკვნა გავაკეთებინოთ.

ამრიგად, ფართო მხატვრული ტილო „ტარიელ გოლუა“, შთამბეჭდავად ასახავს ხალხის თავგანწირულ ბრძოლებსა და ოცნებას მომავალზე არა როგორც შორეულსა და უტოპიურზე, არამედ როგორც „მოახლოებულზე, რომელიც თითქოს საგრძნობიცაა და ხელშესახებიც“.

ჯოდო დადიანი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ლ. ჭიაჭელის ადრინდელ ნოველებში ერთმანეთს ებრძვის რეალიზმისა და დეკადენტიზმის ტენდენციები.

„წარსულის აწმყოში“ შესანიშნავად აგრძელებს კლასიკური მწერლობის რეალისტურ ტრადიციებს. ნოველაში მეტად დამაჯერებლადაა აღწერილი თავადაზნაურული კლასის წარმავლობის აუცილებლობა. სხვადასხვა ჯურის დეკადენტური მიმდინარეობების მკაცრი შემოტევების მიუხედავად (რამაც თავისებური უარყოფითი დაღი მის ნოველებსაც დაასვა), ლ. ჭიაჭელმა მაინც არ დათმო მოწინავე პოზიცია და გააგრძელა კლასიკური რეალიზმის საუკეთესო ტრადიცია. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი მის ცნობილ რომანში „ტარიელ გოლუა“.

1909-1913: ეს იყო მწერლის შემოქმედებითი ძიების წლები. ამ პერიოდში რეალისტური ნოველების გვერდით დეკადენტური ნოველებიც იწერებოდა. „წუთისოფელში“ პირველად გაიელვა სიტყვამ „რევოლუცია“.

ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც გამოხატულია ლ. ჭიაჭელის ადრინდელ (რეალურ თუ ირეალურ) ნოველებში, „ორი სტრიქონის ამბავშია“ (1913) მოქცეული. ეს მაინც რეალისტური ნოველაა, რადგან აქ გატარებული აზრი რეალიზმს ქადაგებს.

მაგრამ შემდგომ თავის ნოველებში რეალიზმის გზას არ გაჰყვა მწერალი. სიმბოლისტურ-იმპრესიონისტული ნაწარმოებია, „ბერი და ყორანი“ (1916), რომელშიც ალეგორიულადაა გამოხატული 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული ამაოება. შედარებით ოპტიმისტურია

ბუჯი

…დან ნახევარი წელიც არ იყო მცემლები. 29 სექტემბერს ობუჯში, ლეო ჭიაჭელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა მისი სახლ-მუზეუმისა და